

ტექნიკური დავალება

1. შპს „ჰიგიენა2009“-ის მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასება:

- საწარმოს ბალანსის აუდიტი;
- მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი;
- საწარმოს კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი;
- ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და მასთან დაკავშირებული ოპერაციების აუდიტი;
- ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აუდიტი;
- სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აუდიტი (საქონლის შეფასების დროს მიმწოდებელმა

უნდა უზრუნველყოს გამოუსადეგარი, დაზიანებული, მწყობრიდან საბოლოოდ გამოსული, ჩამოსაწერი ქონების გამიჯვნა და მათი შეფასების ცხრილში ასახვა, ასევე მოამზადოს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაცია, სალიკვიდაციო აქტები და მიაწოდოს შემსყიდველს საქონლის თითოეულ სახეობაზე ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაცია და რეკომენდაციები;

- არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების მოკვლევა, ინვენტარიზაცია, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით ცალკ-ცალკე;

- აუდიტის პროცესში აქტივების დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შემთხვევაში, მათი ბუღალტრული ასახვისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში საბაზრო ღირებულების შესახებ დასკვნის წარმოდგენა;

- ა.ა.რ. ფინანსთა ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 18 იანვრის № 01-01-10/222 ბრძანებით დამტკიცებული დანართების მომზადება და დამოწმება აუდიტორის მიერ (დანართი №1 – EXCEL-ის ფაილი, დამოწმებული აუდიტორის მიერ);

- 2018 წელს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული შესყიდვების აუდიტი და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

- უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების გასწორება 2019 წლის 1 იანვრისათვის არსებული საწყისი ნაშთების გათვალისწინებით.

- პრეტენდენტი ვალდებულია შემოწმების ობიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს აუდიტის წარმოების პროცესში მისცეს რეკომენდაციები და გაასწორებინოს ფინანსური ანგარიშები, ხოლო დასრულებისთანავე გააცნოს და ჩააბაროს აუდიტორული დასკვნა.

2. 2019 სამეურნეო წლის განმავლობაში შპს „ჰიგიენა 2009“ -ის საწესდებო კაპიტალში მოსალოდნელი წინასწარ დაუგეგმავი ცვლილებების თაობაზე დამდგარი აუცილებლობიდან გამომდინარე აუდიტორული დასკვნის მომზადება.

3. საზოგადოების აქტივში „წინასწარ გაწეული ხარჯების“ ანგარიშზე (ანგ.1790) აღრიცხული თანხის (წარმოშობის დღიდან -01.01.2019 წლამდე), რომელიც 01.01.2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 1862467 ლარს, რეალობის შესწავლა და მისი შემდგომ ბუღალტრულ გატარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა.

- შპს „ჰიგიენა 2009“-ის მიერ 2018 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შეფასება განახორციელოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საწარმოს კატეგორიიდან გამომდინარე, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ.

- ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს განხილული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ზემოთაღნიშნულ ოპერაციებზე ანალიზი. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტმა კონკრეტულად უნდა მიუთითოს, თუ კანონმდებლობის, რომელი მუხლი იქნა დარღვეული, ან თუ არსებობს მაღალი რისკი კანონმდებლობის დარღვევის შესაძლებლობისა, მიუთითოს აღნიშნულის შესახებ და ამასთან გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია მის გამოსასწორებლად,

- პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ მომზადებულ აუდიტორულ დასკვნაზე და ანგარიშზე შესაძლოა არსებობდეს შენიშვნები და მოსაზრებები, შესამოწმებელ აუდიტის ობიექტის მხრიდან. ამიტომ, პრეტენდენტმა დასკვნის და ანგარიშის პროექტი თავდაპირველად წარმოუდგინოს აუდიტის ობიექტს და შემდგომში საბოლოო ვერსია წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში. აუდიტორული მომსახურება უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი აუდიტორული შემოწმების გეგმის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.